

PLITONIT

პროფესიონალად ყოფნა ადვილია



Plitonit
Deutsche
Qualität

PLITONIT Clinker Fix ნარევი მშრალი მოსაპირკეთებელი წებოვანი



ნარევი განკუთვნილია კონსტრუქციების ზედაპირზე მოსაპირკეთებელი ხელოვნური და ბუნებრივი მასალების დასამაგრებლად სამუშაოების ჩატარებისას წესების კრებულის 71.13330-ის შესაბამისად. გამოიყენება ყველა ტიპის კლინკერის ფილების, ბუნებრივი და ხელოვნური ქვის ფილების, ასევე მოსაპირკეთებელი კერამიკული, კერამოგრანიტის ფილების შენობა-ნაგებობების შიგნით და გარეთ გამოყენებისთვის ბეტონის, უჯრედოვანი ბეტონის, მათ შორის აირბეტონის, აქაფებული პენოპოლისტიროლის, აგურის, თაბაშირ-მუყაოს, თაბაშირის, ცემენტის, ცემენტისა და კირის საფუძელზე დამზადებული ბათქაშის კედლებისა და იატაკის ზედაპირზე, მათ შორის მათთვის, რომლებიც გამოიყენება მარმირებელი შრის სახით ფასადების თბოიზოლაციის სისტემაში. გამოიყენება საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობებისა და ნაგებობების მშენებლობისა და რემონტისას, მათ შორის სასწავლო-აღმზრდელობით, საბავშვო, სკოლამდელ და სამედიცინო დაწესებულებებში (მათ შორის სამკურნალო-პროფილაქტიკურ და სანატორიულ-საკურორტოში).

დაფასოება – ქაღალდის ტომარა 25 კგ.

• გამოიყენება შენობების ფასადების მოპირკეთების ელემენტის სახით სისტემაში კლინკერის ფილებისთვის განკუთვნილ PLITONIT Colorit Fast Clinker-ის შემავსებელთან/ხსნართან ერთად ნაკერებისთვის

- C2 TE
- მომატებული ადჰეზია 1,2 მპა
- მომატებული ყინვამედეგობა F150

მასალის ხარჯი

≈1,3 კგ/მ² 1 მმ სისქის შრის დატანისას

ფილის უდიდესი გვერდის სიგრძე, მმ	108-მდე	109200	201-250	251-300	300-დან
ფილის კბილის სიმაღლე, მმ					
მშრალი ნარევის ხარჯი 1მ ² წყობაზე, კგ					
25 კგ წებოს გამოყენებისას დაგებული ფილების ფართობი, მ ²					

ცხრილში მოცემულია საშუალო მნიშვნელობები მასალის მოხმარების წინასწარი გაანგარიშებისთვის. ფაქტობრივი მნიშვნელობები შეიძლება, განსხვავდებოდეს, რაც განპირობებულია ადუღაბების წყლის მოცულობით, სახეობით, ვარდნილისა და მოპირკეთების ქვეშ არსებული ზედაპირის უსწორობით, ასევე სხვა ფაქტორებით.

სამუშაოების ჩატარების პირობები

სამუშაოების ჩატარებისას და შემდგომი 3 დღე-ღამის განმავლობაში აუცილებელია ჰაერის, ზედაპირისა და ფილის ტემპერატურის მენარჩუნება $+5^{\circ}\text{C}$ -დან $+30^{\circ}\text{C}$ -მდე ფარგლებში. ხსნარის ნარევის ტემპერატურა სამუშაოების ჩატარების პროცესში – $+10^{\circ}\text{C}$ -დან $+30^{\circ}\text{C}$ -მდე. გარე სამუშაოების ჩატარებისას ზედაპირი დაცული უნდა იყოს ატმოსფერული ნალექებისგან.

ზედაპირის მომზადება

მოსაპირკეთებელი ზედაპირი უნდა იყოს მყარი, გასუფთავებული ჭუჭყისგან, მტვრისგან, ზეთებისგან, ცხიმებისგან, ყველა სახის საღებავისა და წებოსგან, ასევე აქერცვლადი ელემენტებისგან. თაბამირის ზედაპირებისა და წყლის მაღალი შთანთქმის მქონე ზედაპირების მოპირკეთების სამუშაოების დაწყებამდე აუცილებელია პრაიმერით PLITONIT გრუნტით დამუშავება მწარმოებლის ინსტრუქციის შესაბამისად. შემდგომი სამუშაოები უნდა წარიმართოს პრაიმერის სრული გამრობის შემდეგ

მუშაობის წესი

მზა ხსნარის ნარევი თანაბრად წაუსვით ზედაპირზე გლუვი ფითხით და მიეცით სავარცხლისებრი სტრუქტურა კბილათი. ფითხის კბილის ზომა უნდა შეირჩეს ზედაპირის სიბრტყის, ასევე ფილების ზომისა და სახეობის მიხედვით. უფრო უხეში ზედაპირისთვის უნდა იქნას გამოყენებული უფრო მაღალი კბილის მქონე ფითხი, 600x600 მმ ზომის კერამოგრანიტის ფილებისთვის კი - არანაკლებ 8 მმ-იანი კბილა ფითხი. ხსნარის ნარევი უნდა იქნას წასნული ისეთ ფართობზე, რომლის ფილებით მოპირკეთებაც შესაძლებელია 30 წუთის განმავლობაში (ღია სამუშაო დრო). წასმული წებოს ზედაპირზე შემშრალი ქერქის წარმოქმნის შემთხვევაში (შეხებისას წებო არ რჩება თითზე) ხსნარის ნარევი უნდა მოიხსნას ზედაპირიდან და შეიცვალოს ახლით. დააგეთ ფილები წებოვანი ხსნარის ნარევზე და მსუბუქი მბრუნავი მოძრაობებით ჩაზნექეთ მასში. ფილის მდგომარეობის კორექტირება შესაძლებელია მომდევნო 30 წუთის განმავლობაში. გამჭოლი ქარი, მაღალი ტემპერატურა, ასევე ზედაპირის ძლიერი შთანთქმადობა ამცირებს ღია სამუშაოსა და კორექტირების დროს. ფილები იგება ღია ნაკერებით და სწორდება შესაბამისი მოწყობილობებით. აუზების, ფასადების, ტერასების, აივნების, იატაკის გათბობის, ასევე 2 მმ-ზე მეტი სიმაღლის მქონე რელიეფური უკანა მხარის მქონე ფილების ან 30x30 სმ-ზე მეტი ზომის ფილების მოპირკეთებისას ფილის ქვეშ სივარდილის თავიდან ასაცილებლად და შეჭიდებულობის სიმტკიცის გასაზრდელად აუცილებელია წებოს კომბინირებული მეთოდით წასმა (როგორც ზედაპირზე, ასევე ფილის უკანა მხარეს). ზედაპირზე წებო ისმევა ზემოთ აღწერილი წესით. ზედაპირზე წებო ისმევა ზემოთ აღწერილი წესით. ფილის უკანა მხარეს წებო ისმევა ჯერ კბილა ფითხით, შემდეგ კი გლუვი ფითხით თანაბრად ნაწილდება ფილის მთელ ფართობზე. კომბინირებული მეთოდით მასალის ხარჯი იზრდება $1,3 \text{ კგ/მ}^2$ -ით 1 მმ შრის სისქის შემთხვევაში. ფასადის სამუშაოების ჩატარებისას 19 კგ/მ^2 -მდე წონის ფილების დამატებითი მექანიკური ფიქსაცია არ არის საჭირო 3 მ-მდე სიმაღლეზე მოპირკეთებისას.

ყურადღება

მოპირკეთებულ იატაკზე სიარული და ნაკერების წაგლეხა დასაშვებია არაუადრეს, ვიდრე 24 საათში. იატაკის გათბობის ჩართვა, მოპირკეთებულ ტენმედგ თაბამირ-მუყაოს ფილებზე შემდგომი სამუშაოების ჩატარება შესაძლებელია ფილის დაგებიდან არაუადრეს 3 დღე-ღამისა. მითითებული დროითი მახასიათებლები მოქმედებს გარემოს ($20\pm 2^{\circ}\text{C}$ ტემპერატურაზე, ჰაერის (60 ± 10)% ფარდობით ტენიანობაზე და სხვა ტემპერატურულ და ტენიანობის პირობებში შეიძლება, შეიცვალოს.

სამუშაოების ჩატარებისას უნდა იხელმძღვანელოთ ზოგადი სამშენებლო სამუშაოების ჩატარების ინსტრუქციებითა და უსაფრთხოების ტექნიკით მშენებლობაში. დაგებამდე ფილები არ დააღებოთ, ფილების უკანა მხარე გაწმინდეთ მტვრისა და ჭუჭყისაგან. სამუშაოების ჩატარების პროცესში საჭიროა დროდადრო ხსნარის ნარევის მორევა. მზა ხსნარის ნარევში აკრძალულია წყლის დამატება. შესაძლებელია ნარევის ფერის ცვლილება პარტიიდან პარტიამდე, გამოშვების ადგილიდან გამომდინარე და ა.შ. ნარევის ფერი არ მოქმედებს პროდუქტის განცხადებულ ტექნიკურ მახასიათებლებთან შესაბამისობაზე. შეიძლება, შეიცავდეს მაარმირებელი ბოჭკოების მცირე რაოდენობას შემადგენლობაში.

უსაფრთხოების ზომები

ფრთხილად მშრალი ხსნარის ნარევი მიეკუთვნება საშიშროების მე-4 კლასს (მცირე საშიშროების მქონე ნივთიერებები) სახელმწიფო სტანდარტის 12.1.007-ის მიხედვით. კანზე მოხვედრისას იწვევს სუსტ გაღიზიანებას. თვალში მოხვედრისას იწვევს გაღიზიანებას. გამოყენებამდე გაეცანით პროდუქტის გამოყენების ინსტრუქციას. მუშაობისას გამოიყენეთ ხელთათმანები, სპეცტანსაცმელი, თვალის დამცავი საშუალებები. სამუშაოს შემდეგ საგულდაგულოდ დაიბანეთ ხელები, სახე. შეინახეთ ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილას! თვალში მოხვედრის შემთხვევაში: ფრთხილად ამოიბანეთ წყლით რამდენიმე წუთის განმავლობაში. მოიხსენიეთ კონტაქტური ლინზები, თუ იყენებთ მათ და თუ ეს ადვილია, და გააგრძელეთ თვალის ამობანა. თუ თვალის გაღიზიანება არ გაივლის, მიმართეთ სამედიცინო დახმარებისთვის.

ტრანსპორტირებისა და შენახვის პირობები

ნარევის ტრანსპორტირება უნდა მოხდეს დახურულ სატრანსპორტო საშუალებებში ტვირთების გადაზიდვის წესების შესაბამისად. ტომრები მშრალი ნარევით უნდა იქნას შენახული დახურულ მშრალ შენობა-ნაგებობებში პირობებში, რომლებიც უზრუნველყოფს შეფუთვის დაცულობა და აარიდებს დატენიანებისგან. შენახვის ვადა მწარმოებლის ტარაში – 12 თვე დამზადების დღიდან ტრანსპორტირებისა და შენახვის პირობების დაცვით.

შემადგენლობა

პორტლანდცემენტი, კვარცის ქვიშა, ფუნქციური დანამატები.

მწარმოებლის გარანტია

მწარმოებელი იძლევა გარანტიას, რომ ნარევი შეესაბამება ტექნიკური პირობების მოთხოვნებს, თუ მომხმარებელი დაიცავს ტრანსპორტირების, შენახვისა და ამ ინსტრუქციის მითითებებს. მწარმოებელი არ არის პასუხისმგებელი მასალასთან მუშაობის ტექნოლოგიის შეუსრულებლობის შემთხვევაში, ასევე მისი გამოყენებისთვის იმ მიზნებსა და პირობებში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული მიცემული ინსტრუქციით. წონა ნეტოდან გადახრა შეესაბამება სახელმწიფო სტანდარტ P 8.579-2002-ს. პროდუქცია გამოყენება ნებადართულია სამოქალაქო მშენებლობის ყველა სახეობაში (ბუნებრივი რადიონუკლიდების ეფექტური ხვედრითი აქტივობა < 370 ბკ/კგ, რადიაციული უსაფრთხოების ნორმების-99/2009 სანიტარული წესები და ნორმები 2.6.1.2523-09).

ტექნიკური მახასიათებლები

შემავსებლის მარცვლების ყველაზე დიდი ზომა	0,63 მმ
წებოვანი ნაკერის მაქსიმალური სისქე	15 მმ
წყლის რაოდენობა	
1 კგ ნარევზე	0,21-0,26 ლ
25 კგ ნარევზე	5,25-6,5 ლ

ჩამოცურების მიმართ მედეგობა, არაუმეტეს	0,5 მმ
ღია სამუშაო დრო საკონტაქტო ფართობზე, წთ, არანაკლებ	30 წუთი
ფილის კორექტირების დრო, არანაკლებ	30 წუთი
ხსნარის ნარევის სიცოცხლისუნარიანობა	4 საათი
სიარულისა და წასაგლესი სამუშაოების ჩატარების შესაძლებლობა,	24 საათში
ექსპლუატაციის ტემპერატურული რეჟიმი	-50°C-დან +70°C-მდე
ყინვამედეგობის მარკა, არანაკლებ	F150
ჰაერზე გამშრალი წებოვანი შეერთების სიმტკიცე 28 დღე-ღამის განმავლობაში დაყოვნების შემდეგ	$\geq 1,2$ მპა
წებოვანი შეერთების სიმტკიცე წყლის გარემოში დაყოვნების შემდეგ	$\geq 1,2$ მპა
წებოვანი შეერთების სიმტკიცე ციკლური გაყინვისა და გაღვობის შემდეგ	$\geq 1,2$ მპა
წებოვანი შეერთების სიმტკიცე მაღალ ტემპერატურებზე დაყოვნების შემდეგ	$\geq 1,0$ მპა
ღია დრო ზედაპირთან შეჭიდებულობის სიმტკიცის მიხედვით ჰაერზე დაყოვნების შემდეგ	$\geq 0,5$ მპა

ლოგისტიკური ინფორმაცია:

ინდივიდუალური შტრიხკოდი 4607013045187 ტომრების რაოდენობა პალეტზე 48 ც.